

12. მსოფლიო და გლობალური კონკურენტუნარიანობა – ცნებიდან პოლიტიკამდე*

ნაციონალური კონკურენტუნარიანობის შესახებ ზემოთაღწერილმა გაკვლევამ საკითხისადმი ფართო დაინტერესება გამოიწვია და წამყვან კვლევით ორგანიზაციებში სათავე დაუდო სპეციალური ცენტრების შექმნას.

თანამედროვე პერიოდში ქვეყნების კონკურენტუნარიანობას ყველაზე დიდი მასშტაბით ორი სკოლა იკვლევს: მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის და მიღწევების ცენტრი (Centre for Global Competitiveness and Performance) და მსოფლიო კონკურენტუნარიანობის კვლევის ცენტრი (The World Competitiveness Centre) (შვეიცარია, ლოზანა). პარაგრაფში განვიხილავთ ამ ორი ცნობილი ცენტრის მიერ შემოთავაზებულ ცნებებს კონკურენტუნარიანობის შესახებ.

2009-2010 წლის გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშში მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის კვლევითმა ჯგუფმა გამოაქვეყნა კონკურენტუნარიანობის შემდეგი განმარტება: „კონკურენტუნარიანობა ესაა ინსტიტუტების, პოლიტიკისა და ფაქტორების ერთობლიობა, რომელიც ქვეყანაში უზრუნველყოფს მწარმოებლურობის განსაზღვრულ დონეს. მწარმოებლურობის დონე, თავის მხრივ, განაპირობებს კეთილდღეობის მდგრადობას, რასაც ეკონომიკა ქმნის საკუთარი მოსახლეობისთვის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უფრო კონკურენტუნარიანი ეკონომიკა, უფრო მეტად ზრუნავს ქონდეს მაღალი შემოსავლები თავისი მოქალაქეების საკეთილდღეოდ“¹. აღნიშნული განმარტება, ფიქრობთ, ასახავს ეკონომიკური პოლიტიკის იმ ძირითად მიმართულებებს, რასაც ყოველთვის უნდა ითვალისწინებდეს ნებისმიერი მთავრობა თავის სამოქმედო გეგმაში.

საკითხის ანალიზს გავაგრძელებთ შვეიცარიაში არსებული ლოზანის მსოფლიო კონკურენტუნარიანობის კვლევის ცენტრის მიერ შემოთავაზებული განსაზღვრების განხილვით. ამ სკოლის წარმომადგენლებმა, პროფ. ს. გარელის ხელმძღვანელობით, ჩამოაყალიბეს კონკურენტუნარიანობის მოკლე და გავრცობილი განსაზღვრებები. მოკლე განმარტებით: „კონკურენტუნარიანობა აანალიზებს ქვეყნებისა და საწარმოების მართვის უნარს კეთილდღეობისა და მოგების მიღების მიზნით“. ეს განსაზღვრება გარკვეულწილად შეზღუდულია, მაგალითად, ის არ ითვალისწინებს იმას, რომ ქვეყანა ან ფირმა საქმიანობის პროცესში დამოკიდებულია წმინდა ფიზიკურ აქტივებზე, როგორცაა ბუნებრივი რესურსების ადგილმდებარეობა და ხელმისაწვდომობა, წარსული პოლიტიკის მემკვიდრეობა და სხვა. თუმცა, ცოდნის ან დღეს უკვე ინოვაციური ეკონომიკისთვის, სადაც ბუნებრივი რესურსები დიდ როლს აღარ თამაშობს, ეს კარგი განმარტებაა.

მრავალი ინდივიდისთვის კონკურენტუნარიანობის ცნება უკავშირდება მხოლოდ მოგებას ან ზარალს, როცა ერთი ადამიანი, საწარმო ან ქვეყანა

* პარაგრაფში მოცემული მასალა ეყრდნობა: ი. გაგნიძე, მსოფლიო და გლობალური კონკურენტუნარიანობა – ცნებიდან პოლიტიკამდე, II საუნივერსიტეტო შორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: „საქართველოს ეკონომიკა მსოფლიო კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლებში: პრობლემები, პერსპექტივები“ თსუ, გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2011, გვ. 11-16.

¹ <http://www.weforum.org/pdf/GCR09/GCR20092010fullreport.pdf.p.4>

მეორეზე უკეთესია. უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, რომ ერთი კონკურენტუნარიანი ადამიანი, საწარმო ან ქვეყანა იღვწის შეფარდებითი უპირატესობის მისაღწევად იმ სფეროში, სადაც მას შეუძლია სხვაზე უკეთესი იყოს. საერთოდ, კონკურენტუნარიანობის მაღალი დონე ყველა სფეროში ნაკლებადაა შესაძლებელი. ამაზე ცნობილი მეცნიერები ხაზგასმით მიუთითებენ.

ამ სკოლის წარმომადგენელთა კიდევ ერთი განმარტებით: „კონკურენტუნარიანობა არის ის, თუ როგორ მართავს ერი თავის რესურსებსა და კომპეტენციებს საიმისოდ, რომ აამაღლოს ხალხის კეთილდღეობა“. კონკურენტუნარიანობა შეიძლება იყოს გრძელვადიანი და მოკლევადიანი. მოკლევადიანი კონკურენტუნარიანობა მიზნად ისახავს სახელმწიფოს ეკონომიკურ ზრდას (ფასდება მშპ-ს ზრდით) და საწარმოთა მომგებიანობას. გრძელვადიანი კონკურენტუნარიანობა მიზნად ისახავს ეკონომიკურ ზრდაზე მეტს, რაც გამოიხატება წარმატებაში (კეთილდღეობაში, აყვავებაში). არასპეციალისტის გაგებით, ეს შეიძლება იყოს: ეკონომიკურ ზრდას დამატებული „კიდევ რაიმე“. და ეს „რაიმე“ შესაძლებელია იყოს ცხოვრების ხარისხი, გარემოს დაცვა, დაცული საზოგადოება, სამართლის გავრცობადობა, განათლების ხარისხი და ა. შ.¹

ევროპელი მეკვლევარების მიერ შემოთავაზებული კონკურენტუნარიანობის აკადემიური, გავრცობილი განსაზღვრება მოიცავს ცნების თითქმის ყველა ასპექტს და ჩამოყალიბებულია ასეთი სახით: „ქვეყნების კონკურენტუნარიანობა არის ეკონომიკური თეორიის სფერო, რომელიც აანალიზებს ფაქტებსა და ეკონომიკურ კურსს, რაც ქვეყანას უქმნის შესაძლებლობას შექმნას და შეინარჩუნოს ისეთი გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს შექმნას უფრო მეტი ღირებულება საწარმოებისთვის და მეტი კეთილდღეობა საკუთარი მოსახლეობისთვის“².

აღნიშნული განსაზღვრების უკეთ გასაგებად, იგი განვიხილოთ შემადგენელი ფრაზების მიხედვით. ამ განმარტების დიდი ნაწილი ეყრდნობა პროფ. სტეფანე გარელის ნაშრომს - „ერების კონკურენტუნარიანობა: საფუძვლები“.

„ქვეყნების კონკურენტუნარიანობა არის ეკონომიკური თეორიის სფერო ...“ ეკონომიკური ცოდნის ეს სფერო ორ ათეულ წელს ითვლის და შედარებით ახალია, თუმცა იგი ეფუძნება იმ მრავალ ეკონომიკურ კონცეფციას, რომლებიც სათავეს იღებს კლასიკოსი ეკონომისტებისგან, როგორც იყვნენ: ადამ სმიტი, დევიდ რიკარდო, ჟან ბაბტისტ სეი და სხვები.

„... რომელიც აანალიზებს ფაქტებსა და ეკონომიკურ კურსს, რომლებიც ქვეყანას უქმნის შესაძლებლობას შექმნას და შეინარჩუნოს ისეთი გარემო ...“ ქვეყნის გარემო არის ფაქტების (რომლებზეც ადამიანების მცდელობას ძალიან მცირე გავლენა აქვს და შეიძლება ჩავთვალოთ, როგორც ეგზოგენური) და ეკონომიკური კურსის (რომელზეც ადამიანებს შეუძლიათ და ახდენენ კიდევ გავლენას და შეიძლება ჩავთვალოთ, როგორც ენდოგენური) კომბინაციის შედეგი. იმ ფაქტებს შორის, რომლებიც ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე ახდენს გავლენას, არის ბუნებრივი რესურსები, ასევე

¹ <http://www.imd.ch/research/publications/wcy/upload/20years.pdf>.pp.4.

² S. Garelli, Competitiveness of nations: The Fundamentals, IMD, the World Competitiveness Project, IMI WORLD COMPETITIVENESS YEARBOOK, <http://www.imd.org/research/centers/wcc/upload/Fundamentals.pdf>.

ბუნებრივი კატასტროფები (მაგ: მიწისძვრა, მეწყერი და ა.შ.) ან ადამიანური უბედურებების რისკები (როგორცაა ეპიდემიები, ომი და ა.შ.). ქვეყანას შე-
თად, ანტი-სეისმური ნაგებობების, ჯებირების და ა.შ. აგება ან მოსახლეო-
ბის ვაქცინაცია, თუმცა, ბუნებრივი რესურსების ნაკლებობის კომპენსირე-
ლის ალბათობა ძალიან შეზღუდულია. ეკონომიკური კურსი კი, მისი განსაზ-
ღვრა-ჩამოყალიბება, გადასინჯვა და ცხოვრებაში გატარება მთლიანად და-
ვილებს. **ფაქტები და კურსი** ერთიანობაში განსაზღვრავს ქვეყნის სტრატე-
გიას და მოქმედების თავისუფლებას სწორი კონკურენტუნარიანი ჩარჩოს
შესაქმნელად. ეს კი აუცილებლად უნდა აისახოს გრძელვადიან პერსპექტი-
ვაში, რასაც გულისხმობს სიტყვა - შენარჩუნება.

„... რომელიც ხელს შეუწყობს შეიქმნას უფრო მეტი ღირებულება სა-
წარმოებისთვის ...“ კონცეფცია, რომ მხოლოდ საწარმოები ქმნის ეკონომი-
კურ ღირებულებას, ხშირადაა ხაზგასმული. ამ ფრაზაში აქცენტირებულია
უფრო მეტი - ქვეყანას ძალიან კარგად შეუძლია მართოს თავისი კონკუ-
რენტუნარიანი გარემო. ზოგიერთი ამტკიცებს, რომ მან უნდა შეინარჩუნოს
თავისი ცხოვრების ხარისხი, კულტურული მემკვიდრეობა, ან ისინი იმდე-
ნად მდიდრები არიან, რომ შეიძლება კონკურენტუნარიანობის გარეშეც იო-
ლად გავიდნენ. ისტორიული სტანდარტებით ისინი თითქოს კარგად არიან,
მაგრამ კონკურენტუნარიანობის სტანდარტებით ისინი თანდათან კარგავენ
შეფარდებით უპირატესობას. „უფრო მეტი“-ს ქვეშ იგულისხმება საკუთარი
კონკურენტუნარიანობის სრულად გამოყენების პოტენციალი.

„... მეტი კეთილდღეობა საკუთარი მოქალაქეებისთვის ...“ საბოლოოდ,
კონკურენტუნარიანობა არის ცნება ხალხის კეთილდღეობის ამაღლების შე-
სახებ, რაც შეიძლება განისაზღვროს, როგორც შემოსავლის, ცხოვრების
ღონისა და ცხოვრების ხარისხის ერთობლიობა. ამ კონტექსტით „კეთილ-
დღეობა“ არის ძალზე მნიშვნელოვანი, რადგან იგი ხაზს უსვამს კონკურენ-
ტუნარიანობის არაეკონომიკურ მხარეს და იმაგდროულად მიუთითებს იმ
სტრატეგიის არამდგრადობაზე, რომელიც ეყრდნობა პრინციპს - კონკურენ-
ტუნარიანობა ნებისმიერ ფასად.

კონკურენტუნარიანობა არ დაიყვანება პროდუქტიულობამდე ან მოგე-
ბამდე. ინტუიციურად ყველამ იცის, რომ ქვეყანა, რომელიც სხვას არ უზიარ-
ებს მის მიერ შექმნილ სიმდიდრეს, რომელიც არ უზრუნველყოფს ჯან-
დაცვისა და განათლების ადეკვატურ ინფრასტრუქტურას თავისი ხალხის-
თვის ან ვერ ინარჩუნებს პოლიტიკურ და სოციალურ სტაბილურობას,
გრძელვადიან პერსპექტივაში წარმატებას ვერ მიაღწევს. სინგაპურის მთავ-
რობა ყოველთვის მონდომებული იყო ხალხისთვის მიეცა ეკონომიკის წარ-
მატების ხელშესახები ნიშნები უკეთესი საცხოვრებელი სახლების, საავად-
მყოფოების და განათლების სახით.

ვინაიდან პროფ. ს. გარელი მიუთითებს, რომ „არ არსებობს კონკურენ-
ტუნარიანობის ერთიანი რეცეპტი. სხვადასხვა პოლიტიკა შეიძლება მიჩნე-
ულ იქნეს სტანდარტად, ხოლო შემდეგ თითოეულ ქვეყანას სჭირდება მისი
საკუთარ გარემოსთან ადაპტირება. კონკურენტუნარიანობის სტრატეგია
წარმატებას აღწევს მაშინ, როდესაც წონასწორობას ინარჩუნებენ მსოფ-
ლიო ბაზრების მიერ თავსმოხვეულ იმპერატივებსა და ისტორიულად ჩამო-

ყალიბებულ ქვეყნის სოციალურ მოთხოვნებს, ფასეულობათა სისტემებსა და ტრადიციებს შორის“¹.

ამგვარად, კონკურენტუნარიანობა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ცნებაა თანამედროვე ეკონომიკურ აზროვნებაში. მისი საკვანძო წვლილი კლასიკურ ეკონომიკურ თეორიაში არის ის, რომ იგი მოიცავს არაეკონომიკური საკითხების ეკონომიკურ შედეგებს, როგორცაა განათლება, მეცნიერება, პოლიტიკური სტაბილურობა თუ ფასეულობათა სისტემები. მეცნიერებამ ფაქტმა, რომ იგი არის მრავალწახნაგოვანი ცნება, განაპირობა მისი დეფინიციების მრავალფეროვნება. თუმცა, ეს განსხვავებულობა მისასაღებებელია საიმისოდ, რომ დაიხვეწოს ისეთი კომპლექსური მაჩვენებლის განსაზღვრება, რომელსაც აქვს ამბიცია უზრუნველყოს დინამიკური და სისტემური მიდგომა ქვეყნებისთვის სიმდიდრის შექმნასა და ადამიანებისთვის გრძელვადიანი კეთილდღეობის მისაღწევად.

13. **ქვეყნების გლობალური კონკურენტუნარიანობის
თანამედროვე ბაზოკვლევა**

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი (**The World Economic Forum**)¹ არის საერთაშორისო, დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რომელიც მოწოდებულია საერთაშორისო, გლობალური, რეგიონული და დარგობრივი პროგრამების ფორმირებით, გააუმჯობესოს მსოფლიო სიტუაცია პროცესებში ბიზნეს-დედების, პოლიტიკური, სამეცნიერო და საზოგადოების სხვა ხელმძღვანელების ჩართვით. ევროპული მენეჯმენტის ფორუმის შექმნის იდეა პროფ. კლაუს შვაბს გაუჩნდა 1971 წელს და 1972 წლის იანვარში შვეიცარიის ალფორუმს სახელი შეეცვალა და ეწოდა მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი. 1987 წელს სულ წელს აღინიშნა ფორუმის დაარსების 40 წლისთავი. ფორუმის ძირითადი შტაბ-ბინა დავოსშია, ხოლო ოფისები არის ნიუ-ორკსა და პეკინში. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი პროფ. კ. შვაბის ხელმძღვანელობით აქვეყნებს მრავალი სახეობის ანგარიშებს, რომელთა შორისაა გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიში.

ფორუმმა თავის 2008 წლის კონკურენტუნარიანობის ანგარიშში მიუთითა იმის შესახებ, რომ სამეცნიერო კვლევები წარმართა კონკურენტუნარიანობის ახალი ინდექსის მიხედვით. ამ პროცესის განმაპირობებელი იყო რამდენიმე ფაქტი, კერძოდ, 2000 წელს პროფ. ჯ. საქსმა ეკონომიკური ზრდის თეორიაზე დაყრდნობით შეიმუშავა **ზრდის კონკურენტუნარიანობის ინდექსი (Growth Competitiveness Index)**. ასევე 2000 წელს პროფ. მ. პორტერმა მიკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე დაყრდნობით შეიმუშავა **ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ინდექსი (Business Competitiveness Index - BCI)**. 2004 წელს პროფ. ხავიერ სალა-იმარტინმა შეიმუშავა **გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი (Global Competitiveness Index - GCI)**, რომელიც აერთიანებდა როგორც მაკროეკონომიკურ, ასევე მიკროეკონომიკურ დონეებს. აღნიშნულის გამო, 2004 წელს მსოფლიო ეკონომიკურმა ფორუმმა კვლევებში გააერთიანა ეს მაჩვენებლები და შეიმუშავა **ახალი გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი (New Global Competitiveness Index - New GCI)**. ახალი ინდექსის განვითარების მიზნით, პროფ. მ. პორტერმა მოიწვია: პროფ. ს. შტერნი, პროფ. ა. ჩიკონე, პროფ. პ. ფაბრა, პროფ. მ. დელგადო და დოქტორი ქ. ქეთელსი.² აღნიშნულ ავტორთა მიერ შემოთავაზებული იქნა კონკურენტუნარიანობის სქემატური განსაზღვრა, რომელიც მოცემულია სქემებზე 13.1 „ა“ და „ბ“.³

სქემიდან 13.1 „ბ“ ნათლად ჩანს, რომ მეცნიერ-მკვლევარები კლასტერებს განიხილავენ როგორც მიკროეკონომიკის კონკურენტუნარიანობის შემადგენელ ნაწილს.


გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი ეფუძნება 12 კომპლექსურ მდგენელს, რომლებიც თავის მხრივ შედგება რამდენიმე მაჩვენებლ-

¹ www.weforum.org


² M. E. PORTER, M. DELGADO, C. KETELS, S. STERN, Moving to a New Global Competitiveness Index, The Global Competitiveness Report 2008-2009, World Economic Forum. CHAPTER 1.2. pdf. pp.43-44.

³ M. E. PORTER, M. DELGADO, C. KETELS, S. STERN, Moving to a New Global Competitiveness Index, The Global Competitiveness Report 2008-2009, World Economic Forum. CHAPTER 1.2. pdf. pp.45-46.

ბისგან. აღნიშნული მდგენელებია: 1) ინსტიტუტები; 2) ინფრასტრუქტურა; 3) მაკროეკონომიკური სტაბილურობა; 4) ჯანდაცვა და დაწესებულებითი განათლება; 5) უმაღლესი განათლება და ტრენინგები; 6) სასაქონლო ბაზრების ეფექტიანობა; 7) შრომის ბაზრის ეფექტიანობა; 8) საფინანსო ბაზრების განვითარების ხარისხი; 9) ტექნოლოგიური აღჭურვა; 10) ბაზრის სიდიდე; 11) ბიზნესის განვითარების ხარისხი; 12) ინოვაციები. აღნიშნული 12 მდგენელი და მათი შემადგენელი მაჩვენებლები მოცემულია დანართში 1.



სქემა 13.1 „ა“ კონკურენტუნარიანობის დეფინიცია



სქემა 13.1 „ბ“ მწარმოებლურობის საფუძვლები

ყოველწლიურ ანგარიშებში მკვლევარები ხსნიან, თუ რატომ ანიჭებენ აღნიშნულ მდგენელებს ასეთ დიდ მნიშვნელობას, კერძოდ:

1) ინსტიტუტები. ინსტიტუციონალური გარემო განისაზღვრება სამართლებრივი და ადმინისტრაციული ჩარჩოებით, სადაც ფიზიკური პირები, ეკონომიკაში შემოსავლების დაგროვებისა კენ. მყარი ინსტიტუციონალური გარემოს მნიშვნელობა განსაკუთრებით გამოჩნდა მიმდინარე ეკონომიკური კრიზისის დროს, როდესაც ასეთმა დაწესებულებებმა პირდაპირი და მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს მრავალი ქვეყნის ეკონომიკაში შექმნილი მდგომარეობის გამოსწორებაში.

ინსტიტუტების ხარისხი ძალიან დიდ გავლენას ახდენს კონკურენტუნარიანობასა და ზრდაზე, ინვესტიციების მოზიდვაზე, პროდუქტების წარმოებაზე, განვითარების სტრატეგიებსა და პოლიტიკაზე.

ინსტიტუტების როლი სცდება სამართლებრივ ჩარჩოებს - ბაზრისადმი ხელისუფლების დამოკიდებულება და სათანადო ნაბიჯების ეფექტიანობა ძალიან მნიშვნელოვანია. ზედმეტი ბიუროკრატიაში, ფორმალურობა, კორუფცია, არაკეთილსინდისიერება, გაუმჭვირვალობა, ნდობის ნაკლებობა, სასამართლო სისტემის პოლიტიკური დამოკიდებულება, ძალიან ძვირად უჯდება ბიზნესგარემოს, რაც აფერხებს ეკონომიკურ განვითარებას. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკურ ლიტერატურაში ძირითადი აქცენტი ხშირად საჯარო ინსტიტუტებზე კეთდება, ყურადსადეობია, რომ კერძო სექტორი არანაკლებ როლს ასრულებს დოვლათის შექმნაში. გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა კიდევ ერთხელ დაადასტურა არსებული საბუღალტრო სტანდარტების დაცვის მართებულობა და ბიზნესგარემოში გამჭვირვალობის აუცილებლობა საიმისოდ, რომ თავიდან იქნეს აცილებული ფინანსური მაქინაციები და შენარჩუნდეს ინვესტორისა და მომხმარებლის ნდობა.

2) ინფრასტრუქტურა. მასშტაბური და ეფექტიანი ინფრასტრუქტურა მთავარი მამოძრავებელი ძალაა კონკურენტუნარიანობის მისაღწევად. კარგად განვითარებული ინფრასტრუქტურა ამცირებს რეგიონებს შორის მანძილით გამოწვეულ უარყოფით შედეგებს და ხელს უწყობს ეროვნული ბაზრის ინტეგრირებას სხვა ქვეყნებსა და რეგიონებთან.

ისეთი სატრანსპორტო საშუალებები, როგორც არის გზები, რკინიგზა, პორტები, საჰაერო ტრანსპორტი საშუალებას აძლევს მეწარმეებს უსაფრთხოდ და დროულად მიაწოდონ პროდუქტები და მომსახურება დანიშნულების ადგილზე.

ეკონომიკა დამოკიდებულია აგრეთვე ენერგოწყაროებზე, უწყვეტი ენერგომომარაგება ეკონომიკის კარგი ფუნქციონირების პირდაპირპროპორციულია; დაბოლოს ერთიანი, ფართო სატელეკომუნიკაციო ქსელი ხელს უწყობს ინფორმაციის სწრაფ გავრცელებას, ზრდის და აიოლებს საქმიან კომუნიკაციას.

3) მაკროეკონომიკური სტაბილურობა. მაკროეკონომიკური გარემოს სტაბილურობა მნიშვნელოვანია ქვეყნის კონკურენტუნარიანობისთვის, თუმცა, მხოლოდ მაკროეკონომიკური სტაბილურობა ქვეყნაში მწარმოებლურობის ზრდის გარანტი არაა. სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს ეფექტიან მართვას, თუ მას უწევს სარგებლის მაღალი განაკვეთებით ძველი ვალების გადახდა. ფისკალური დეფიციტის პირობებში სახელმწიფო სათანადოდ ვერ ზემოქმედებს ბიზნესის აქტივობის ციკლებზე და უკონტროლო ინფლაციის პირობებ-

ში, ფირმები ვერ საქმიანობენ ეფექტიანად. ეკონომიკის ზრდა მიუღწევად რჩება, თუ მაკროეკონომიკა არ არის მყარი და სტაბილური.

4) ჯანმრთელობა და საბაზისო განათლება. ქვეყანაში მწარმოებელთა რობის ასამაღლებლად ჯანსაღ სამუშაო ძალას სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება. ავადმყოფი მუშახელი თავის პოტენციალს ბოლომდე ვერ იყენებს და შესაბამისად ნაკლებად პროდუქტიულია. ჯანმრთელობის პრობლემები დაკავშირებულია გარკვეულ ხარჯებთან ბიზნესში - დასაქმებულის არყოფნა ან შეზღუდულად მუშაობა გარკვეულწილად აისახება შედეგზე. ამრიგად, ჯანდაცვაში ჩადებული ინვესტიციები მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მორალური თვალსაზრისით, არამედ წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით.

ჯანმრთელობასთან ერთად მხედველობაში მისაღებია მოსახლეობის განათლების დონე. რაც უფრო დაბალი განათლების მქონეა პერსონალი, მით უფრო უჭირს მას მარალტექნოლოგიურ საქარმოო პროცესებთან შეგუება.

5) უმაღლესი განათლება და ტრენინგი. საქარმოო პროცესების განვითარებაზე ორიენტირებული ეკონომიკისთვის ხარისხიანი განათლება და ტრენინგი გადამწყვეტი მნიშვნელობისაა. დღევანდელი გლობალიზებული ეკონომიკა საჭიროებს კარგი განათლების მქონე შრომით რესურსებს, რომელთაც შესწავლენ ცვალებად გარემოსთან სწრაფი ადაპტირების უნარი. აღსანიშნავია ასევე დასაქმებული მომუშავე პერსონალის პერიოდული გადამზადების აუცილებლობა. ზრდადი და განვითარებადი ეკონომიკისთვის დასაქმებულის უნარების განახლების უზრუნველყოფა სტრატეგიული მნიშვნელობისაა.

6) სასაქონლო ბაზრების ეფექტიანობა. ჯანსაღი საბაზრო კონკურენცია მნიშვნელოვანია ბიზნესისთვის როგორც შიდა, ასევე გარე ბაზარზე წარმატების მისაღწევად. ბიზნესაქტიურობის გასაუმჯობესებლად მთავრობის მხრიდან სათანადო გარემოს ფორმირება მოითხოვს სავაჭრო ბარიერების შემცირებას. მაგალითად, კონკურენტუნარიანობაზე მოქმედებს გადასახადები, შემზღუდველი და დისკრიმინაციული წესები და სხვა. ბაზრების ეფექტიანობა დამოკიდებულია მოთხოვნის პირობებზეც, როგორცაა მომხმარებელზე ორიენტაცია და მყიდველის გათვითცნობიერების, მომთხოვნელობის მაღალი ხარისხი. სხვადასხვა კულტურულ-ტრადიციული მიზეზიდან გამომდინარე, მომხმარებელი ზოგ ქვეყანაში უფრო მომთხოვნია, რაც აიძულებს კომპანიებს შემოიღონ ინოვაციები.

7) შრომის ბაზრის ეფექტიანობა. შრომის ბაზრის ეფექტიანობა და მოქნილობა არსებითია დასაქმებულთა მაქსიმალური მოტივირებისათვის. შრომის ბაზრის მოქნილობა გულისხმობს დასაქმებულის ერთი საქმიანობიდან მეორეზე გადაყვანის შესაძლებლობას მაქსიმალურად სწრაფად და მინიმალური დანახარჯებით. ეფექტიანი შრომის ბაზარზე მომუშავეს შესაძლებლობები სრულადაა გამოყენებული და დაკმაყოფილებულია მისი პირობები და უფლებები (მაგალითად, გენდერული თანასწორობა ბიზნესში).

8) საფინანსო ბაზრის განვითარების ხარისხი. საფინანსო კრიზისმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ეკონომიკურ საქმიანობაში ჯანსაღი და კარგად უწყვილონირებადი საფინანსო სექტორის დიდი მნიშვნელობა. ეფექტიანი საფინანსო სექტორი მოქალაქეებისა და უცხოეთიდან შემოსულ რესურსებს ათავსებს მაღალშემოსავლიან სამეწარმეო თუ საინვესტიციო პროექტებში, სადაც რისკფაქტორების ყოველმხრივი და ზუსტი შეფასება ძალზე არსებითია. მწარმოებელთა ასამაღლებლად აუცილებელია მაღალი ხარისხის საფინანსო ბაზარი, რათა ხელმისაწვდომი იყოს: სესხები ჯანსაღი საბანკო სექტორისგან,

ფასიანი ქაღალდები კარგად რეგულირებული საფონდო ბირჟიდან, სარისკო კაპიტალი და სხვა ფინანსური პროდუქტები. საფინანსო ბაზრებს ევალება შეიმუშავოს კრიზისულ სიტუაციებში ინვესტორებისა და ბიზნესექტორის სხვა წარმომადგენლებისთვის დამცავი მექანიზმები.

9) ტექნოლოგიური მზაობა.

ამ მაჩვენებლებით ფასდება, თუ რა სისასამაღლებლად. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს მწარმოებლურობის სათვის უნივერსალურ ტექნოლოგიებად გადაიქცა, უმნიშვნელოვანესია მათი როლი ეკონომიკური სექტორისთვის. ქვეყნის შიგნით ტექნოლოგიის განვითარება შესაძლებლობას აძლევს მოქმედ ფირმებს ისარგებლონ თანამედროვე პროდუქტებით. ამასთან, მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ ფირმების ტექნოლოგიური დონე და ზოგადად ქვეყნის მზაობა ინოვაციებისა და წინსვლისკენ განსხვავებული ცნებებია.

10) ბაზრის სიდიდე.

ბაზრის სიდიდე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პროდუქტიულობაზე. დიდი ბაზარი ფირმებს საშუალებას აძლევს ქონდეთ ფართომასშტაბიანი წარმოება. ბაზრის საზღვრები ფირმებისთვის ტრადიციულად ქვეყნის საზღვრების მიხედვით განისაზღვრება, მაგრამ გლობალიზაციის ერაში საერთაშორისო ბაზრებმა შეცვალა ქვეყნის შიდა ბაზრების სიდიდე, რაც განსაკუთრებით პატარა ქვეყნებშია შესამჩნევი. ამრიგად, ექსპორტს შეუძლია შეცვალოს შიდა ბაზრის მოთხოვნა.

11) ბიზნესის განვითარების ხარისხი.

ბიზნესის განვითარების ხარისხი ხელს უწყობს საქონლისა და მომსახურების წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას და აფასებს ამა თუ იმ ქვეყნის ბიზნესქსელისა და კერძო ფირმების მიერ განხორციელებული ოპერაციებისა და სტრატეგიების ხარისხს. ქვეყნის ბიზნესინდუსტრიული ქსელების მაღალი ხარისხი ფასდება ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინდიკატორების მიხედვით. კომპანიებისა და მომმარაგებლების ჯგუფური მჭიდრო ურთიერთკავშირის (Cluster Group) დროს ეფექტიანობა უფრო იზრდება და მეტი შესაძლებლობები ჩნდება ინოვაციების შესაქმნელად. აღნიშნულის გამო, ეს მაჩვენებლები მნიშვნელოვანია განვითარებული ქვეყნებისთვისაც. კერძო ფირმის ოპერაციებსა და სტრატეგიებს (ბრენდინგი, მარკეტინგი, ღირებულებათა ჯაჭვი, უნიკალური და ხარისხიანი პროდუქტის წარმოება) მიყვარათ თანამედროვე მაღალგანვითარებულ ბიზნეს-პროცესებამდე.

12) ინოვაცია.

ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისთვის მწარმოებლურობის ამაღლება არსებული ტექნოლოგიების ადაპტაციით ან საქმიანობის არეალის გაფართოებით მიმდინარეობს. განვითარების მაღალ საფეხურზე მდგომი ქვეყნებისთვის კი, საკმარისი არაა მხოლოდ მწარმოებლურობაზე აქცენტირება, მათ კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად ბაზარს პროგრესული, მოთხოვნადი პროდუქტები უნდა შესთავაზონ. საამისოდ ხელშემწყობი გარემოს შექმნა როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორში, გულისხმობს ინვესტირებას სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების მიმართულებით, მაღალი დონის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების არსებობას და მათთან ფირმებისა და საგანმანათლებლო სისტემის დაწესებულებათა ნაყოფიერ თანამშრომლობას.

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის გამოთვლის მეთოდოლოგია. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობისა და მიღწევების ცენტრი დიდი ხანია წარმატებით იკვლევს გაძლიერებული ინტერ-რაციული პროცესებისა და მსოფლიო ეკონომიკის სხვადასხვა გამოწვევებს. 2011-2012 წლის გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშში (The Global Competitiveness Report) მოცემულია 142 ქვეყნის ეკონომიკის ანალიზი.

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის გამოთვლა ეფუძნება შეფასებათა თანმიმდევრულ შეჯამებას, ძალზე დეტალიზებულიდან, მთლიანად გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსამდე. ცალკეული ცვლადების ერთობლიობის ერთ კატეგორიაში დაჯგუფების მიზნით გამოიყენება გამოთვლები: i კატეგორიისთვის, რომელიც შედგება k რაოდენობის ინდიკატორებისგან, გვექნება:

$$კატეგორია_i = \frac{\sum_{k=1}^K ინდიკატორი_k}{K} \quad (1.3.1)$$

ცნობილია, რომ გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი ეფუძნება 12 კომპლექსურ მდგენელს, რომლებიც შედგება ცალკეული მაჩვენებლებისგან. გამოთვლების საწყის ეტაპზე ქვეყნების შეფასება ხდება მდგენელთა დიდი ჯგუფების - ქვე-ინდექსების მიხედვით. ცხრილში 1.3.1 მოცემული 12 მდგენელიდან № 1-4 შეადგენს ძირითადი მოთხოვნების ქვეინდექსს; №5-დან 10-მდე - ეფექტიანობის ამამაღლებელ ფაქტორთა ქვეინდექსს; №11-12 კი, მკვლევარები ინოვაციურობისა და განვითარების ხარისხის ფაქტორთა ქვეინდექსში აერთიანებენ. თითოეული მდგენელის წილი ქვეყნის ეკონომიკის საბოლოო შესაფებაში და მაჩვენებელთა დიდი ჯგუფის წილი, აღნიშნული მდგენელის შიგნით, მოცემულია ცხრილში 1.3.1.

აგრეგირების უფრო მაღალი დონის მისაღწევად გამოიყენება თითოეული კატეგორიის პროცენტული თანაფარდობა. კატეგორიის მნიშვნელობა მრგვალდება უახლოეს მთელ რიცხვად, მაგრამ გკი-ს გამოსათვლელად გამოიყენება საწყისი წილადი რიცხვითი მნიშვნელობები. მაგალითად, ქვეყნის განვითარების დონის მიუხედავად, ცხრილში 1.3.1 მოცემული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მაჩვენებელი 50%-ით იქნება წარმოდგენილი მეორე მდგენელის - „ინფრასტრუქტურა“ - საბოლოო შედეგში, მაშინ როცა თავად „ინფრასტრუქტურის“ ხვედრითი წონა ქვეყნის საბოლოო მაჩვენებელში 25%-ია.

თუ არ მოითხოვება მაჩვენებელთა გამსხვილება, გაანგარიშების სიმძიმე გადადის ქვე-ინდექსებზე (საბაზო მოთხოვნები, ეფექტიანობის ამამაღლებელი ფაქტორები და ინოვაციურობისა და განვითარების ხარისხის ფაქტორები), რომელთა ხვედრითი წონა არაა ფიქსირებული სიდიდე, მათი მნიშვნელობა ვარიირებს ქვეყნების განვითარების საფეხურების მიხედვით და დამოკიდებულია ქვეყანაში კაპიტალის ერთეულზე მშპ-ს რაოდენობაზე.

ბ
ც
დ
გ
ს
დ
ს
ქ
ან

ცხრილი 13.1. კომპლექსურ მაჩვენებელთა პროცენტული წილი გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში 2011-2012 წლის* ანგარიშის მიხედვით

№	მდგენელი და მასში შემავალ მაჩვენებელთა საერთო რაოდენობა	მდგენელის წილი საერთო შეფასებაში	მდგენელში შემავალ მაჩვენებელთა დიდი ჯგუფები და მათი პროცენტული წილი იმავე მდგენელის საბოლოო შედეგში	
1	ინსტიტუტები - 19	25 %	სახელმწიფო ინსტიტუტები - 75%	კერძო ინსტიტუტები - 25%
2	ინფრასტრუქტურა - 8	25%	სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა - 50%	ენერგეტიკული და სატელეფონო ინფრასტრუქტურა - 50%
3	მაკროეკონომიკური გარემო - 5	25%	-	-
4	ჯანდაცვა და დაწესებულებითი განათლება - 11	25%	ჯანდაცვა - 50%	დაწესებითი განათლება - 50%
5	უმაღლესი განათლება და ტრენინგები - 8	17%	განათლების სისტემაში ჩართულობა რაოდენობა - 33%	განათლების ხარისხი - 33% ტრენინგები - 33%
6	სასაქონლო ბაზრების ეფექტიანობა - 15	17%	კონკურენცია - 67%	მოთხოვნის ხარისხი - 33%
7	შრომის ბაზრის ეფექტიანობა - 10	17%	მოქნილობა - 50%	უნარებისა და ნიჭის გამოყენების ეფექტიანობა - 50%
8	საფინანსო ბაზრების განვითარების ხარისხი - 9	17%	ეფექტიანობა - 50%	კრედიტუნარიანობა და კონფიდენციალურობა - 50%
9	ტექნოლოგიური მზაობა - 8	17%	ტექნოლოგიური ადაპტაცია - 50%	გამოყენებაში არსებული საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიები - 50%
10	ბაზრის სიდიდე - 2	17%	შიდა ბაზრის სიდიდე - 75%	გარე ბაზრის სიდიდე - 25%
11	ბიზნესის განვითარების ხარისხი - 9	50%	-	-
12	ინოვაციები - 7	50%	-	-

გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშში ქვეყნები განვითარების მიხედვით ნაწილდება 3 ძირითად და 2 გარდამავალ საფეხურზე: ფაქტორებზე ორიენტირებული (I საფეხური); I-დან II საფეხურზე გარდამავალი; ეფექტიანობაზე ორიენტირებული (II საფეხური); II-დან III საფეხურზე გარდამავალი და ინოვაციებზე ორიენტირებული (III საფეხური). აღნიშნული საფეხურებისა და ქვეინდექსების მაჩვენებელთა დამოკიდებულება მოცემულია ცხრილში 1.3.2.

საქართველო 2011-2012 წლის ანგარიშის მიხედვით იმყოფება I-დან II საფეხურზე გარდამავალ პოზიციაში, სადაც ძირითადი მოთხოვნების ქვეინდექსის წონა საბოლოო შესფასებაში არის 40-60%, ეფექტიანობის ამამაღლებელი ფაქტორების ქვეინდექსის წონა შეადგენს - 35-50% და ა.შ.

* მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშის აღნიშნულ თარიღში ორი წელი ფიგურირებს, როგორც, მაგალითად აკადემიური სასწავლო წლის შემთხვევაში.

ცხრილი 13.2. ქვეყნების განვითარების საფეხურები და მათი დამოკიდებულება ქვეინდექსებთან

მაჩვენებლები და ქვეინდექსები	ფაქტორებზე ორიენტირებული (I საფეხური)	I-დან II საფეხურზე გარდამავალი (2000-2999 აშშ\$)	ეფექტიანობაზე ორიენტირებული (II საფეხური); (3000-8999 აშშ\$)	II-დან III საფეხურზე გარდამავალი (9000-17000 აშშ\$)	ინოვაციებზე ორიენტირებული (III საფეხური); (>17000 აშშ\$)
მშპ კაპიტალის ერთეულზე	< 2000 აშშ\$	2000-2999 აშშ\$	3000-8999 აშშ\$	9000-17000 აშშ\$	>17000 აშშ\$
ძირითადი მოთხოვნების ქვეინდექსის წონა	60%	40-60%	40%	20-40%	20%
ეფექტიანობის ამამალელებელი ქვეინდექსი	35%	35-50%	50%	50%	50%
ინოვაციურობისა და განვითარების ხარისხის ფაქტორთა ქვეინდექსის წონა	5%	5-10%	10%	10-30%	30%

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის გამოთვლისას იყენებენ სოციოლოგიური გამოკვლევების შედეგებს. ამ გზით მიღებული ცვლადების მნიშვნელობის გამოთვლისას, შედეგებს აჯამებენ ისე, რომ მათი მნიშვნელობები მერყეობდეს I-დან 7-მდე. გამოკვლეულ ქვეყნებს შორის ერთ მათგანს ენიჭება უმაღლესი ქულა და ერთს - ყველაზე დაბალი, დანარჩენი ქვეყნების მაჩვენებლების გამოთვლა მიმდინარეობს აღნიშნულ უკიდურეს შემთხვევებთან შედარების გზით. საამისოდ გამოიყენება შემდეგი ფორმულა:

$$6 \times \frac{(\text{ქვეყნის ქულა} - \text{მინიმალური ქულა})}{(\text{მაქსიმალური ქულა} - \text{მინიმალური ქულა})} + 1 \quad (132)$$

არატიპური ექსტრემუმების მიღებისას ხდება მაჩვენებელთა კორექტირება. ისეთი მაჩვენებლებისთვის, რომელთათვისაც უმჯობესია იყოს დაბალი ქულა, ვიდრე მაღალი (მაგალითად, სახელმწიფო ვალი, ავადმყოფობის შემთხვევები და სხვა), ტრანსფორმირებული ფორმულა იღებს ისეთ სახეს, რომ მაღალი ქულა შეესაბამება კარგ მდგომარეობას, კერძოდ:

$$-6 \times \frac{(\text{ქვეყნის ქულა} - \text{მინიმალური ქულა})}{(\text{მაქსიმალური ქულა} - \text{მინიმალური ქულა})} + 7 \quad (133)$$

იმ კატეგორიებისთვის, რომლებიც შეიცავს ერთ ან რამდენიმე წილადის მნიშვნელობის მქონე ცვლადს, ქვეყნის ქულა გამოითვლება შემდეგნაირად (იხ. ფორმულა 1.3.4):

$$\frac{(\text{მათელი მნიშვნელობის მქონე ცვლადების ქულათა ჯამი}) + \frac{1}{2} \times (\text{წილადი მნიშვნელობის მქონე ცვლადების ქულათა ჯამი})}{(\text{მათელი მნიშვნელობის მქონე ცვლადების რაოდენობა}) + \frac{1}{2} \times (\text{წილადი მნიშვნელობის მქონე ცვლადების რაოდენობა})} \quad (134)$$

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში გათვალისწინებულია ის, რომ მაღალი ინფლაცია გავლენას ახდენს კონკურენტუნარიანობაზე. ინფლაციის გავლენა ინდექსის მოდელში შედის U-ს ფორმით, კერძოდ, ქვეყანაში ინფლაციის მერყეობა 0,5-2,9% დიაპაზონში ფასდება უმაღლესი 7 ქუფრთვი და მოკიდებულების შესაბამისად.

კონკურენტუნარიანობაზე მაღარი, ტუბერკულოზისა და შიდსის გავლენა და მოკიდებულია არა მარტო ამ დაავადებათა რაოდენობაზე, არამედ იმაზე, თუ რამდენად ძვირადღირებულია ისინი ბიზნესისთვის. აღნიშნულის გამო, გავლენის შესაფასებლად, დასაწყისში გამოითვლება ქვეყნებში დაავადებათა გავრცელების მაჩვენებლები, რისთვისაც გამოიყენება ზემოაღნიშნული მულტიპლიკატორი (იხ. ფორმულა 1.3.3), შემდეგ კი, ისლით, ხოლო სადაც მაღალია, შეფასება მცირდება.

კონკურენტუნარიანობის ქვეინდექსი არის ორი კომპონენტის საშუალოშეწონილი, კერძოდ: შიდა კონკურენცია და გარე კონკურენცია. მკვლევართა მოსაზრებით, შიდა კონკურენცია არის მოხმარების (Consumption - C), ინვესტიციების (Investment - I), სახელმწიფო ხარჯების (Government Spending - G) და ექსპორტის (Exports - X) ჯამი, მაშინ როცა გარე კონკურენციისთვის გამოიყენება იმპორტი (Import - M). ამგვარად, შიდა კონკურენცია ფასდება შემდეგი თანაფარდობით: $(C + I + X) / (C + I + X + M)$, ხოლო გარე კონკურენცია კი, $M / (C + I + G + X + M)$.

შიდა ბაზრის სიდიდე განისაზღვრება როგორც იმ ჯამის ნატურალური ლოგარითმი, რომელიც მიიღება მშპ-ს დამატებული იმპორტირებული პროდუქტებისა და მომსახურების მთლიანი ღირებულება და გამოკლებული ექსპორტირებული პროდუქტებისა და მომსახურების მთლიანი ღირებულება (აღნიშნული ჯამის ყველა წევრი შეფასებულია მყიდველობითუნარიანობის პარიტეტით - Purchased Power Parity - PPP). მონაცემები ნაწილდება 1-7 ქულიან სისტემაში. მყიდველობითუნარიანობის პარიტეტით შეფასებული იმპორტი და ექსპორტი მიიღება, როგორც ექსპორტირებული პროდუქტების პროცენტი მშპ-სთან მიმართებაში.

გარე ბაზრის სიდიდე განისაზღვრება მყიდველობითუნარიანობის პარიტეტით შეფასებული ექსპორტირებული პროდუქტებისა და მომსახურების მთლიანი ღირებულების ნატურალური ლოგარითმით, რომელიც განაწილებულია 1-7 ქულიან სისტემაში. მყიდველობითუნარიანობის პარიტეტით შეფასებული ექსპორტი გამოითვლება, ისევე როგორც შიდა ბაზრის პირობებში.

2011-2012 წლის გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშის მიხედვით საქართველოს რეიტინგი 5 ადგილით გაუმჯობესდა და 93-ე პოზიციიდან 88-ე პოზიციაზე გადმოინაცვლა. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვებ-გვერდზე არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღნიშნულ რეიტინგში საქართველოს პოზიციის გაუმჯობესებაზე გავლენა იქონია შემდეგმა კომპონენტებმა და ქვეინდექსებმა¹.

• ძირითადი მეთხონები - საქართველოს პოზიცია გაუმჯობესდა 9 ადგილით და 95-ე პოზიციიდან 86-ე პოზიციაზე გადმოინაცვლა. აღნიშნულ

¹ www.economy.ge

კომპონენტზე გავლენა იქონია საქართველოს პოზიციის გაუმჯობესებამ შემდეგ ქვეინდექსებში:
ინსტიტუციური მშენებლობა - გაუმჯობესდა 6 ადგილით და 69-ე პოზიციიდან მე-60 პოზიციაზე გადმოინაცვლა;
ინფრასტრუქტურა - გაუმჯობესდა 5 ადგილით და 73-ე პოზიციიდან 68-ე პოზიციაზე გადმოინაცვლა.

• **ეფექტიანობის მასტიმულირებელი ფაქტორები** - გაუმჯობესდა 5 ადგილით და 94-ე პოზიციიდან 89-ე პოზიციაზე გადმოინაცვლა. კომპონენტზე გავლენა იქონია საქართველოს პოზიციის გაუმჯობესებამ შემდეგ ქვეინდექსებში:

უმაღლესი განათლება და ტრენინგები - გაუმჯობესდა 2 ადგილით და 90-ე პოზიციიდან 88-ე პოზიციაზე გადმოინაცვლა;

საფინანსო ბაზრის განვითარება - გაუმჯობესდა 9 ადგილით და 108-ე პოზიციიდან 99-ე პოზიციაზე გადმოინაცვლა;

ბაზრის სიდიდე - გაუმჯობესდა 1 ადგილით და 107-ე პოზიციიდან 106-ე პოზიციაზე გადმოინაცვლა.

• **ინოვაციები და განვითარება** - გაუმჯობესდა 4 ადგილით და 121-ე პოზიციიდან 117-ე პოზიციაზე გადმოინაცვლა. აღნიშნულ კომპონენტზე გავლენა იქონია საქართველოს პოზიციის გაუმჯობესებამ შემდეგ ქვეინდექსებში:

ბაზრის განვითარება - გაუმჯობესდა 1 ადგილით და 111-ე პოზიციიდან 110-ე პოზიციაზე გადმოინაცვლა;

ინოვაცია - გაუმჯობესდა 7 ადგილით და 125-ე პოზიციიდან 118-ე პოზიციაზე გადმოინაცვლა.

მდგრადი კონკურენტუნარიანობის ინდექსი (Sustainable Competitiveness Index). მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის მკვლევარებმა 2011-2012 წლების ანგარიშში დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობას გრძელვადიან პერიოდში, რის გამოც შეიმუშავეს **მდგრადი კონკურენტუნარიანობის ინდექსი** (ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური კონტექსტებით). **მდგრადი კონკურენტუნარიანობა (Sustainable Competitiveness)** განისაზღვრება, როგორც ინსტიტუტების, პოლიტიკისა და ფაქტორების ერთობლიობა, რაც განსაზღვრავს ქვეყნის მწარმოებლურობას იმ პირობით, რომ მომავალმა თაობამ აგრეთვე შეძლოს თავისი მთხოვნილებების დაკმაყოფილება.

სხვა სიტყვებით რომ აღვწეროთ, ახალი ინდექსი მოიცავს ისეთ ელემენტებს, რომლებიც უფრო მყარ კონკურენტუნარიანობას უზრუნველყოფს გრძელვადიან პერიოდში ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვის მიმართულებით. ახალი ინდექსი მოიცავს ყველა იმ ელემენტს, რომლებიც მოცემულია გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში და მნიშვნელოვანია როგორც მოკლევადიან, ასევე გრძელვადიან პერიოდებში (მაგ: მმართველობა, განათლება და ჯანდაცვა, ინფრასტრუქტურა, ბაზარი, ინოვაციები), ასევე დამატებით მოიცავს იმ ასპექტებს, რომლებიც მნიშვნელოვანია გრძელვადიან პერიოდში (დემოგრაფია, სოციალური ერთობა და გარემოს სტრატეგიული მართვა). ამგვარად, **გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი** მოკლედ და საშუალოვადიან პერსპექტივას აღწერს, ხოლო **მდგრადი კონკურენტუნარიანობის ინდექსი** კი - გრძელვადიანს. მდგრადი კონკურენტუნარიანობის ინდექსის ჩარჩო მოცემულია ცხრილში 1.3.3.

ც
მ
ვ
ა
მ
პ
მ
ა
ქ
დ
ლ

2011-2012 წლების გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშში შესწავლილ ქვეყანებს შორის საქართველოს 88-ე ადგილი უკავია (რაც 5 არ ასახულა კონკურენტუნარიანობის ამსახველ მაჩვენებელთა საერთო რაოდენობაში, მათი რიცხვი, როგორც გასულ წელს ისევე 114-დან 23 იყო. თუმცა, აღსანიშნავია ის, რომ კონკურენტუნარიანობაზე მდგრადობის გაგ-
 ლენის მიხედვით საქართველო 70-ე ადგილზეა, რაც ნიშნავს, იმას რომ გაგ-
 ლენის ეფექტი დადებითია. ეს კი არ შეინიშნება აზერბაიჯანისა და სომხე-
 თის მაჩვენებლებში.

ცხრილი 13.3. მდგრადი კონკურენტუნარიანობის ინდექსის მაჩვენებლები

ადამიანური კაპიტალი	საბაზრო პირობები	ტექნოლოგია და ინოვაციები	პოლიტიკური გარემო და პირობები	გარემო პირობები
<ul style="list-style-type: none"> • ჯანდაცვა და დაწესებულებების განვითარება • უმაღლესი განათლება და ტრენინგები • სოციალური ერთობა 	<ul style="list-style-type: none"> • შრომის ბაზრის ეფექტიანობა • საფინანსო ბაზრის განვითარების ხარისხი • ბაზრის სიდიდე • სასაქონლო ბაზრების ეფექტიანობა 	<ul style="list-style-type: none"> • ტექნოლოგიური მზობა • ბიზნესის განვითარების დონე • ინოვაციები 	<ul style="list-style-type: none"> • ინსტიტუტები • ინფრასტრუქტურა • მაკროეკონომიკური გარემო • გარემოს დაცვის პოლიტიკა 	<ul style="list-style-type: none"> • რესურსების ეფექტიანობა • განახლებადი რესურსების მართვა • გარემოს დეგრადაციის დონე

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, საქართველოსთვის აუცილებელია ეკონომიკური პოლიტიკის აგება როგორც გლობალური, ასევე მდგრადი კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლების მაღალი დონის მისაღწევად, ვინაიდან, როგორც აღვნიშნეთ გლობალური კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლების გაუმჯობესება მოკლე და საშუალოვადიან წარმატებას განაპირობებს, ხოლო მდგრადი კონკურენტუნარიანობის ინდექსში შემავალი მაჩვენებლები კი, გრძელვადიან შედეგებზე აკეთებს აქცენტს. ნებისმიერი ეკონომიკური პოლიტიკა მხოლოდ მაშინაა ეფექტიანი, თუ ის გრძელვადიან დადებით შედეგებზე იქნება ორიენტირებული, რასაც ადასტურებს მსოფლიო მნიშვნელობის ცენტრების მიერ ორგანიზებული გამოკვლევები.